პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

27 სექტემბერი პარასკევი 1974 წასი 2 კაკ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 227 (16048)

ხუთწლედის ვანმაჯლრეკელი წარმოებითი-ეკონომიკური შედეგებისადმი

ხუთწლედი-ვადაზე! 1975-ე შემეხვეწრი

ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ

ᲐᲡᲔᲗᲘ ᲨᲔᲛᲮᲕᲔᲓᲠᲘ ᲒᲔᲒᲛᲐ ᲛᲘᲘᲚᲝ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲥᲘᲛᲘᲣᲠᲘ ᲑᲝᲭᲙᲝᲡ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲗ

რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხანას სამართლიანად უწოდებენ დიდი ქიმიის ფლაგმანს. აქ წარმოებულ სელოვნურ ბოჭკოს ფართდ იყენებენ ჩვენს სახალხო მეურნეობაში. საკმაო ხანია ქარხნის კოლექტივი მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით ამთავრებს ყოველ თვეს, კვარტალს. 8 თვეში სასაქონლო პროდუქციის გამოშვების სახელმწიფო გეგმა 102,6 პროცენტით შეასრულეთ, მოგებამ 456 ათასი მანეთი შეადგინა, პროდუქციის თვითღირებულება 1,8 პროცენტით გვაქვს შემცირებული, შრომის ნაყოფიერება კი გაზრდილია 10,9 პროცენტით.

როცა ყველაფერი კარგად დავიანგარიშეთ და ეკონომიური ანალიზი გავაკეთეთ, ერთხელ კიდევ დავრწმუნდით, რომ მიმდინარე სამეურნეო წელსაც წარმატებით დავამთავრებთ, გეგმის ზევით გამოვუშვებთ მილიონ მანეთსაზე მეტი ღირებულების პროდუქციას. ეს იქნება 300 ტონა ქიმიური ბოჭკო, რომელიც დამატებით გაეგზავნება მსუბუქ მრეწველობას.

აღსანიშნავია, რომ პროდუქციის წარმოების ზრდას ძირითადად მივაღწევთ შრომის ნაყოფიერების გადიდებით, ტუშათა კვალიფიკაციის ამაღლებით, მასალებისა და ნედლეულის ეკონომიით. ჩვენმა თანამშრომლებმა „დღეს მოწინავის მეჯნა ხვალ თვითეულის მეჯნაა". უდიდესი ეფექტი გამოიღო. ამ ლაზმჭრობაში სულ ახალი და ახალი ძალები ემზეზიან „აიზარდა აგრეგატთა მომსახურების ზონა, ნაკლები დანახარჯებით სულ მეტ-და მეტ პროდუქციას ვუშვებთ.

წარმატებათა მოპოვებაში ეფექტური გამოდგა ჩვენი თანამამულქმის გათმობგანაკვეთის საამქროს უფროსის ჯ. მეელაძის ახალი ინიციატივა „თვითეული ინჟინერ-ტექნიკოსი — რაციონალიზატორი". ქარხნის რაციონალიზატორებმა თავიანთი წინადადებებითა და ჯამბოგნებებით წელს ათასობით მანეთი დაზოგეს.

წარმატებები გვაქვს, მაგრამ უფრო ხერიოზული სამუშაოები მოგველის 1975 წლისათვის. როგორც ცნობილია, მომავალი წელი მეცხრე ხუთწლედის საბოლოო წელია. ამიტომ ჩვენ ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ არა მარტო შეკინარჩუნოთ მოპოვებული წარმატებები, არამედ განვამტკიცოთ კიდეც.

ავწონ-დავწონეთ რა ჩვენი შესაძლებლობანი, გადავწყვიტეთ 1975 წლისათვის ავიღოთ შემდეგი შემხვედრი გეგმა: მოპასელი წლის ბოლოსათვის წლიური გეგმის ბადამეტებით ბაკოფეფეს, მილიონნახევარი მანეთის პროდუქციას ანუ 350 ტონა ბარმეშის ქაფი და კორდი. ამასთან მომავალ წელს ჩვენმა პროდუქციამ უნდა მიიღოს „ხარისხის ნიშანი".

მომავალ წელსაც, როგორც ასლა, პროდუქციის ზრდა ძირითადად მოხდება შრომის ნაყოფიერების გადიდებით, აგრეთვე ხარისხის გაუმჯობესებითა და თვითთღირებულების შემცირებით.

გადაწყვეტილი გვაქვს მრავალი საინტერესო ტექნიკური სიახლის დანერგვა. კერძოდ, რეკონსტრუქციას ჩავუტარებთ ორ სართავ მანქანას, დაბალი წარმადობის მანქანების შევცვლით ახალი მანქანა-დანადგარებით. ეფექტრობთ, ჩვენს ფინანსურ მდგომარეობას დიდად გააუმჯობესებს პროდუქციის ახალი ასორტიმენტის ხალიჩების წარმოება, რომელიც ნაწილობრივ წელს, ხოლო ძირითადად მომავალ წელს ამუშავდება.

ამოცანები დიდია. საწარმოს კოლექტივის ვაწწყობა კარგია. ერთი სიტყვით, შექმნილია ყველა პირობა, რომ წარმატებით შეასრულოთ შემხვედრი გეგმა, რომელსაც 1975 წლისათვის ვიღებთ.

რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის კოლექტივის სახელით: ი. ბრძელიძე — ქარხნის დირექტორი, შ. შარაბიძე — ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი, ზ. ჯაფარიძე — ქარხნის კომიტეტის თავმჯდომარე. ჯ. ჯანჯალია — ქარხნის მთავარი ინჟინერის მოადგილე. ჯ. ძნელაძე — კორდის საგრეხი საამქროს უფროსი, ბ. კვანტრიშვილი — ქიმიური საამქროს უფროსი, ხ. ჯაბანაშვილი — გადამხვევი საამქროს გადამხვევი, მ. მურუსიძე — კომკავშირის კომიტეტის მდივანი.

საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მოლაპარაკება

25 სექტემბერს კრემლში დაიწყო საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მოლაპარაკება, რომელშიც მონაწილეობენ: საბჭოთა კავშირის მხრივ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ა. სუსლოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, ს. ფ. ფედორჩენკო, ი. ვ. კაპიტონოვი, ვ. ფ. ტოლუბკო, ა. ნ. ტიხონოვი, ა. ბ. ბეზმერნიხი, ბ. ნ. ბოჭკოვი, ა. ნ. ბელეტინი, ბ. ნ. ბელეტინი, ბ. ნ. ბელეტინი, ბ

გულითად ვითარებაში

(დასასრული)

საბჭოთა ძმების წარმატებებს და ვუსურვებთ ახალ, უფრო დიდ წარმატებებს პარტიის XXIV კრების მიერ დასახული მშენებლობის გრანდიოზული პროგრამის განხორციელებაში, — საკუთარი ბედნიერებისათვის, ჩვენი საერთო საქმის — კომუნიზმისა და მშვიდობის საქმის საკეთილდღეოდ. (ტასი).

ძვირფასო ამხანაგებო! მეგობრებო! 1975 წლის გაზაფხულზე უნგრელი ხალხი იზეიმებს იმ დიადი დღის 30 წლისთავს, როცა სახელოვანმა საბჭოთა არმიამ თავდადებული ბრძოლებით ჩვენი სამშობლოს ტერიტორიიდან განდევნა ჰიტლერული ფაშისტური ოკუპანტები და მთლიანად გაათავისუფლა უნგრეთი. ახალი ფურცელი ჩაიწერა ჩვენი ხალხის ისტორიაში, რომელებმაც კვლავ მოიპოვა ეროვნული დამოუკიდებლობა და თავისუფლება. მოხდა ძირეული საზოგადოებრივი გარდაქმნა: ძველი სამფეროს ნანგრევებზე იშვა ახალი, საზოგადოება, ახალი ქვეყანა. საბჭოთა ხალხს, რომელმაც გაგვათავისუფლა და მას შემდეგ ყველაფერში გვიხმარება, შეუძლია ამაყოფილი იყოს იმ შედეგით, რომ უნგრელმა ხალხმა გამოიყენა მიღებული თავისუფლება, მან მოიპოვა ძალაუფლება, საფუძველები ჩაუყარა სოციალისტურ საზოგადოებას და თანმიმდევრულად წარმატებით აშენებს სოციალიზმს.

შეგიძლია ჩვენს საბჭოთა მეგობრებს ეფუთხრათ, რომ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში მტკიცდა მუშათა კლასის ხელისუფლება, მტკიცდა მუშათა კლასისა და ალიანსის კავშირი, სოციალისტური მიზნების განსახორციელებლად მონოლითურად ერთიანდებიან და კავშირდებიან ერის მთელი შემოქმედებითი ძალები. სოციალიზმის მშენებლობის მეოთხედი საუკუნის მანძილზე ეროვნული შემოსავალი ოთხ-ნახევარჯერ გაიზარდა, სამრეწველო წარმოება — თითქმის რვაჯერ. სოციალისტურ სექტორებში დინამიკურად ფითარდება და სულ უფრო მეტი მიღწევები აქვს სოფლის მეურნეობას, ხალხი მხარს უჭერს პარტიის პოლიტიკას, წარმატებით ახორციელებს პარტიის X კრების გადაწყვეტილებებს.

ამავამად ვემზადებით ჩვენი პარტიის XI კრებისათვის, რომელსაც მომავალი წლის გაზაფხულზე მოვიწვევთ. უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი მუშაობს იმისათვის, რომ უახლოესი წლების ამოცანათა შემუშავებასთან ერთად ყრილობას წარუდგინოს უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ახალი საბრძოლო პროგრამა განსხვავებული, რომელიც დასახული იქნება ჩვენი ხალხის აღმავლობის, ჩვენი სამშობლოს სოციალისტური განვითარების შემდგომი გზები, სოციალიზმის პერსპექტივები. უნგრეთის მუშათა კლასის, მშრომელი ხალხის ეროვნება-განწყობილება და ერძნობები შესანიშნავად ვლინდება იმ ფართო სოციალისტურ შრომითს შეჯიბრებაში, რომელიც ეგიშალა პარტიის ყრილობის აღსანიშნავად, ჩვენი განთავისუფლების 30 წლისთავის აღსანიშნავად.

ძვირფასო ამხანაგებო! დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პირმშო — საბჭოთა კავშირი თავისი დაბადების დღიდან არის სოციალიზმის, კომუნიზმისა და მშვიდობის მედროშე, თავისუფლებისა და პროგრესისათვის მებრძოლ ხალხთა ბურჯი. სწორედ ამიტომ უნგრელი ხალხი, რომელიც სოციალიზმის მშენებლობის გზას დაადგა, საბჭოთა კავშირთან მეგობრობის მტკიცე მომხრეა. უნგრელი და საბჭოთა ხალხების მეგობრობას, ჩვენი პარტიებისა და ქვეყნების ძმურ თანამშრომლობას საფუძვლად უდევს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები, ინტერნაციონალიზმის იდეები, ჩვენი საერთო ინტერესები, საერთო მიზნები. ამ გრანიტის საფუძველზე იგება ჩვენი სამოკავშირეო ურთიერთობა, რომელიც საერთო ინტერესების შესაბამისად განმტკიცებულია 1967 წელს დადებული ახალი ხელშეკრულებით მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ. საერთაშორისო პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის მშენებლობაში უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის გენერალური კურსი კვლავინდებურად არის საბჭოთა კავშირთან ყოვლისმხრივი თანამშრომლობის განვითარება. ეს არის ჩვენი ისტორიული გზა, რომელსაც არასოდეს არ გადავუხვევთ.

ძვირფასო ამხანაგებო! სოციალისტური ქვეყნების საერთო ბრძოლისა და შეთანხმებული საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ვითარების გაუმჯობესება, რაც ამიამად მიმდინარეობს. იწყება ნამდვილი შემობრუნება ციცი ომიდან დაძაბულობის შენელებისაკენ. ამის ფართო პროგრამა დასახა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV კრებამ, ხოლო ინიციატორი, პირველმოკავალი ამ პროცესში საბჭოთა საგარეო პოლიტიკაა. ამ საამოდობო პოლიტიკის განხორციელებაში უდიდესი პირადი დამსახურება მიუძღვის ჩვენი ხალხის ნამდვილ მეგობარს, მის მიერ დიდად პატივცემულ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეს, რომელსაც დამსახურებულად სცემენ გულწრფელი პატივს და აფიერენენ მთელ მსოფლიოში. (ხანგრძლივი ტაში).

ახლო წარსულში, მას შემდეგ, რაც მთელ რიგ წამყვან კაპიტალისტურ სახელმწიფოებში „შეიცვალნენ ხელმძღვანელები და მთავრობები, ახალმა ხელმძღვანელებმაც თავიანთი პოსტები რომ დაიკავეს, მხარი დაუჭირეს დაძაბულობის შენელების პოლიტიკის განგრძობას. ამას ჯეროვნად ვაფასებთ და ვითვალისწინებთ ჩვენს საერთაშორისო პოლიტიკაში. სამშვიდობო პოლიტიკის დაუძინებელ მტრებს კი ვეუბნებით: ჩვენ ვფიხლობთ, ძლიერი და ერთიანი ვართ. ჩვენ გვყავს მეგობრები დიდამიწის ყველა კუთხეში, გვყავს ბრძოლისუნარიანი შეიარაღებული ძალები. გვაქვს ნაკადი სამოკავშირეო სისტემა — ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია. მაგრამ ჩვენ ვკიდა მშვიდობა და ურყევად ვასორციელებთ ჩვენს სამშვიდობო პოლიტიკას.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საერთაშორისო ცხოვრების ყველა ძირითად საკითხში ჩვენს საბჭოთა მეგობრებთან სრულიად იდენტურ პოზიციებსა და თვალსაზრისს ვიდგავართ, ამიტომაც ვმეგობრობთ ერთნაირად. ეს ეხება საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის განვითარებასაც, რომელსაც დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ და მივესალმებით მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების თვალსაზრისით. ზუსტად ასევე ვეკიდებით ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის საქმეს. საჭიროდ მიგვაჩნია, რომ რაც შეიძლება მალე გაიმართოს თათბირის მესამე, დასკვნითი ეტაპი უმაღლეს დონეზე სახელმწიფოთა წარმომადგენლების მონაწილეობით. ჩვენ ერთნაირად ვაფასებთ კეთილსურვილს შექმნილ მდგომარეობას, საბჭოთა წინადადებანი მისი მოგვარების თათბაზე რეალურად და მისაღებად მიგვაჩნია და ჩვენი მხრივ მხარს ვუჭერთ მათ.

ჩვენ გადაჭრით ვიღგეთ ვიეტნამელი ხალხის და ინდოჩინეთის სხვა ხალხების სამართლიანი საქმისათვის, მხარს ვუჭერთ მათს ბრძოლას. ახლო აღმოსავლეთში მდგომარეობის მოწესრიგების მიმართ ჩვენი პოზიცია ასევე ნათელია: ჩვენ მოვითხოვთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებათა განხორციელებას, აგრეთვე პალესტინელი ხალხის კანონიერ უფლებათა აღდგენას. ჩვენი ხალხი მეესალმება პორტუგალიასა და საბერძნეთში მომხდარ დემოკრატიულ ცვლილებებს, და ამაგე დროს გადაჭრით გმობს ფაშისტური სამხედრო ხუნტის ტერორს ჩილეში, მოითხოვს გაათავისუფლონ ჩილეს კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ამხანაგი ლუის კორვალანი და სახალხო ერთიანობის სხვა დაპატიმრებული ხელმძღვანელები და მომხრეები.

ძვირფასო ამხანაგებო! საბჭოთა კავშირთან ერთად საერთაშორისო ბრძოლის ფართო ფრონტზე ჩვენ ვიღვწით სოციალური პროგრესისათვის, ხალხთა თავისუფლებისათვის, მშვიდობისათვის. ამ ბრძოლაში განსაზღვრელ როლს ასრულებენ სოციალისტური ქვეყნების შეკავშირება და მათი შეთანხმებული საგარეო-პოლიტიკური ღონისძიებანი, რომლებსაც ჩვენი მხრივ ვცდილობთ ყოველნაირად შევუწყოთ ხელი. ჩვენ ვხელმძღვანელობთ იმით, რომ სოციალიზმისა და მშვიდობის საერთო ინტერესები პროგრესის ძალებისაგან განსაკუთრებულ კი არ მოითხოვენ, არამედ მათი საკმაოდ ნაყოფიერი, ერთიანობასა და შეკავშირებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან ერთად, ჩვენ, უნგრელი კომუნისტები, საერთაშორისო კომუნისტურ და მუშათა მოძრაობაშიც მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებზე დამყარებული ერთიანობის მომხრენი ვართ. ამ შეგნებით ვილაშქრებთ ერთიანობის დამრღვევთა წინააღმდეგ, მემარჯვენე და მემარცხენე ოპორტუნიზმის ყოველგვარი მიმდინარეობისა და ცენტრალური ბანდა-ნარეობის ფანატიზმის წინააღმდეგ. მოძმე პარტიების, პროგრესის მთელი ძალების შეკავშირება წარმატებითი საერთო ბრძოლის უმნიშვნელოვანეს წინაპირობად მიგვაჩნია.

მას შემდეგ, რაც გაიმართა 1969 წლის თათბირი, რომელმაც განამტკიცა და განავითარა კომუნისტური და მუშათა პარტიების ერთიანი მოქმედება, საერთაშორისო ასპარეზზე საერთო ბრძოლის შედეგად დიდმნიშვნელოვანი ცვლილებანი მოხდა. ჩვენმა გენერალურმა კურსმა გაუძლო ცხოვრების გამოცდას. საერთაშორისო ცხოვრებაში მომხდარი დიდმნიშვნელოვანი ცვლილებანი იწვევენ იმის აუცილებლობას, რომ დროდადრო განვიხილავდეთ და ვაფასებდეთ მათ, მსოფლიოში პოლიტიკური ვითარების შექმნის კვალობაზე გამოგვეჩინდეს დასკვნები ჩვენი მოძრაობისათვის. ამ პრინციპულ საფუძველზე უნგრეთის სოციალისტურ ნუშათა პარტიის დროულად მიაჩნია კომუნისტური და მუშათა პარტიების რეგიონალური თათბირების და ანალი მსოფლიო თათბირის თანდათანობით მომზადება.

ძვირფასო ამხანაგებო! საბჭოთა მეგობრებო! ჩვენი მუშაობა, ჩვენი მოღაპარაკება კარგ ამხანაგურ, მეგობრულ ვითარებაში დავიწყეთ. მოლაპარაკებამ კვლავ ცხადყო ის ფაქტი, რომ სოციალისტური მშენებლობის და საგარეო პოლიტიკის საკითხებში ჩვენი პარტიები და მთავრობები სრულიად ერთნაირ თვალსაზრისს ადგანან. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი შეხვედრა კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენი პარტიებისა და მთავრობების ურთიერთობას ორი ქვეყნის ხალხთა საკეთილდღეოდ და ახალი ნიშანსვეტი გახდება უნგრეთ-საბჭოთა კავშირის ტრადიციული მეგობრობის გზაზე, რომლის მუდმივი განმტკიცება ჩვენს უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიგვაჩნია.

გაუმარჯოს კომუნიზმის მშენებელ დიდ საბჭოთა ხალხს! (ტასი).

გაუმარჯოს სახელოვან საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და მის ცენტრალურ კომიტეტს ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის მეთაურობით! (ტასი).

გაუმარჯოს ჩვენს ძმურ კავშირს და უნგრელი და საბჭოთა ხალხების მარადიულ, ურღვევ მეგობრობას! (ხანგრძლივი ტაში).

• • •

სადილმა ძმურ, გულითად ვითარებაში ჩაიარა. (საკვლევი).

პირუტყვს — ეროვნული ნლინასევრის მეურნეობის

საკვების დამზადების გეგმის შესრულება საქართველოს სსრ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 1974 წლის 28 სექტემბრისათვის (პროცენტობით)

	სულ უფლეს საკვები	მათ შორის			
		თივა	სენაჟი	სხვა უფლეს საკვები	ფუნ. სილოსი
ახალქალაქის	71	76	93	40	7
ბოგდანოვკის	51	49	100	23	53
ახალციხის	72	58	93	69	3
ადიგენის	109	32	173	55	—
ასპინძის	64	76	109	29	88
ხაშურის	93	119	125	76	—
ქარელის	83	78	135	79	74
ბორის	94	79	177	76	12
კასპის	79	87	102	68	11
ბორჯომის	71	69	85	30	43
სამტრედიის	98	113	101	88	43
გურჯაანის	105	77	236	88	77
სიღნაღის	99	99	146	90	49
წითელწყაროს	101	165	100	88	95
თელავის	105	85	131	107	40
ასკანის	103	133	165	61	45
ყვარლის	84	70	129	69	14
ლაგოდეხის	70	35	93	76	5
ბარდანის	109	138	113	71	42
მცხეთის	172	111	169	—	1
მარნეულის	103	85	121	110	30
ბოლნისის	105	76	117	125	14
წალკის	55	44	140	8	50
დუშეთის	66	59	115	66	—
თეთრიწყაროს	91	91	142	56	39
დმანისის	55	70	99	14	94
თიანეთის	66	66	150	33	—
ყაზბეგის	58	58	—	—	—
სამხრეთ ოსეთის აო	55	49	90	55	3
წყალტუბოს	25	94	29	13	17
სამტრედიის	17	53	67	6	13
წულუკიძის	12	30	31	5	9
ვანის	32	126	100	—	18
მაიაკოვსკის	18	106	—	2	41
ზესტაფონის	31	131	69	9	56
თერჯოლის	30	75	100	20	45
ჭიათურის საქ. საბ.	37	159	33	10	11
საჩხერის	50	123	100	29	32
ორჯონიკიძის	36	145	54	—	—
ტყიბულის საქ. საბ.	24	135	40	—	1
ონის	87	112	—	1	59
ამბროლაურის	64	105	40	14	—
ცაგერის	57	109	100	—	26
ლენტეხის	58	68	—	—	—
აბაშის	17	38	105	—	67
ცხაკაიას	14	8	37	18	7
ზუგდიდის	10	28	136	—	9
ზუგდიდის	10	24	29	—	2
ხობის	16	29	84	—	37
წალენჯიხის	14	26	43	—	—
ჩხოროწყუს	9	19	38	1	—
მაზარაძის	3	5	10	—	5
ლანჩხუთის	8	11	23	—	21
ჩოხატაურის	16	48	—	—	2
მესტიის	53	59	—	—	—
აფხაზეთის ასსრ	23	55	62	—	6
აპარის ასსრ	52	65	54	—	28
სულ	66	66	109	46	33

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო.

კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობების მუშები, პარტიული, საბჭოთა ორგანიზაციები ძალ-ღონეს არ იშურებენ, რომ უსწრაფესად დაამთავრონ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, წარმატებით შეასრულონ ხახელმწიფოსათვის მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების მოყიდვის გეგმები და კალდებულებანი. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზის შექმნას, პირუტყვის მთელი სულადობის უზრუნველყოფას სხვადასხვა საკვების წლინახევრის მარაგით.

შემოდგომა მიწათმოქმედებისა და მეცხოველეებისაგან მოითხოვს დიდ დაძაბვას მუშაობაში, თვითეული დღისა და საათის უნარიან გამოყენებას, რომ წარმატებით დაამთავრონ ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წელი. ამ თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა აქვს საკვების დამზადებას, მაგრამ ეს დიდმნიშვნელოვანი მუშაობა ჯერ კიდევ საკმარისი ტემპით არ სრულდება. რესპუბლიკის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემებით თანახმად 28 სექტემბრისათვის უფლეს საკვების დამზადების გეგმა შესრულებულია 66 პროცენტით, სილოსისა — 33 პროცენტით. ნელა აგროვებენ უხეშ საკვებს კახეთს, ბოგდანოვკის, ასპინძის, წალკის, დუშეთის, სამტრედიის, ფაალეკუბოს, მაიაკოვსკის, ზესტაფონის, წულუკიძისა და მთელი რიგი სხვა რაიონების, აგრეთვე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, აფხაზეთის ასს და აპარის ასს რესპუბლიკების მეურნეობანი. სილოსის ჩადება ჩამორჩება ბორის, ყვარლის, ლაგოდეხის, [illegible] ზნაურის, ცხინვალის რაიონებსა და დახავლეთ საქართველოს რაიონების მთელ რიგ მეურნეობებში.

სულ სხვა სურათია იქ, სადაც საკვების დამზადება წარმოებს დაჩქარებული ტემპით, სადაც ფართოდ იყენებენ ტექნიკას, ზუსტ კონტროლს უწევენ თვითეულ საკვებ-მომპოვებელ ბრიგადას დავალების შესრულებაში, სადაც ქმედითი შეჯიბრებაა გაშლილი საკვების დიდი მარაგის შექმნისათვის.

წითელწყაროს რაიონის მეურნეობათა ფერმებში უკვე აქვთ საკვების საკმარისი მარაგი. წითელწყაროელები, რომლებმაც გამოიჩინეს ინიციატივა, რომ გაშლილიყო შეჯიბრება დევიზით: „თვითეულ ფერმას — საკვების წლინახევრის მარაგი“ უჩვენებენ შრომისადმი სანიმუშო დამოკიდებულების მაგალითებს. კარგად მუშაობენ გურჯაანის, თელავის, ახმეტის, გარდაბნის, მცხეთის, მარნეულის, ბოლნისის, ადიგენის რაიონების საკვებმომპოვებლები, რომლებმაც გადაჭარბებით შესრულეს უხეშ საკვების დამზადების გეგმები. მაგრამ ამ რაიონებშიც არის მეურნეობები, რომლებიც აჭიანურებენ სილოსის ჩადებას.

პირნათლად დაამთავრონ სამუშაოები მინდვრებსა და პლანტაციებში, სანიმუშოდ მოამზადონ ფერმები პირუტყვის გამოზამთრებისათვის, შექმნან საკმაო რაოდენობის საკვები—ეს არის სოფლის მშრომელთა მოვალეობა. (საქინფორმი).

მაღალი ჯილდო

შაშმის წინააღმდეგ, დემოკრატიისა და მშვიდობისათვის ბრძოლაში დამსახურებისათვის, ეკრანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარებისა და განვითარების საქმეში დიდი წვლილისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საბჭოთა მთავრობისა და პირადად ლეკ. ი. ბრეჟნევის სახელით ჯილდოდ მოგიღოთოთ ხალხთა მეგობრობის ორდენით დაჯილდოდა ეკრანიელთა კომუნისტური პარტიის გამგეობის პრეზიდიუმის წევრი ჯურჩ ბახმანნ.

25 სექტემბერს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნინმ მაღალი ჯილდო გადასცა ჯურჩ ბახმანს.

საბჭოთა ადამიანები თქვენ კიცნობენ, უთხრა ამხანაგ კ. ბახმანს ნ. ვ. პოდგორნინმ, როგორც ფაშიზმის წინააღმდეგ, დემოკრატიისა და მშვიდობისათვის თავდადებულ მებრძოლს და დიდად აფასებენ თქვენს დიდ წვლილს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრული ურთიერთობის დამყარებისა და განვითარების საქმეში.

ამ ამოცანებზე ეკამათებოდნენ ეკრანის ეროვნული ფრონტის ფრაქციის ლიდერები, ეკრანიელ ფაშისტებს ეკრძალებოდა ეროვნული ფრონტის ფრაქციაში ყოფნა. ეროვნული ფრონტის ფრაქციის ეროვნული ფრონტის ფრაქციის ეროვნული ფრონტის ფრაქციის

სვანეთი დღეს და ხვალ



ხურათზე: სვანეთის მთებში.

მ. კვირიკაშვილის ფოტო.

წერილი მეგობარს

ილარიონ აკობია

შენ ზუგდიდამდე ნამყოფი ხარ, მერე იწყება ზუგდიდი-ჯვარი. განიერი, ამაღლებული, საფუძვლში მოკირწყლული, და ხავერდივით. გაფენილი ასფალტი, ზუსტი რეცეპტით. დიახ, ზუსტი რეცეპტით! რა ჯნის სპეციალისტობაო, დაკვირვებული თვალი მანქანის ჯაჯაყზე დაითვლის სად, რომელ გზაზე რამდენი ქონება განიავდა. ღმერთმა შეუნდოთ, იმ გზებსაც და იმ ჯვარედინებსაც თავსაფარი აქვთ.

სოფელი ჯვარი! ენგურჰესში ვართ.

— მთიდან მთაზე, კლდიდან კლდეზე გადაჭიმული საპაჭერო გზები. — ჩახედეთ, ამ ლოდს ჩასეფიდეთ ხელი. — ხედავთ? უფსკრულიდან იზრდება მეოთხედი კილომეტრი სიმაღლის კაშხალი. იქით, ბეტონის ქარხანაში, — ნაბიჯი წადგეთ, ფრთხილად. — საბაგირო გზით მიაქვთ ხრეში და ქვიშა, ამ სისტემის ქარხანა პირველია საბჭოთა კავშირში. ზეკალიშის მთაზე შეზავებული ბეტონი გვირაბით გადის კაშხალის თავთან, მერე, ლოყორის მთიდან საპაჭერო გზით ეშვება ბეტონი...

გვეუბნება გიდი! დიახ, გიდის მოვალეობა რომელიმე ინჟინერს ან მაღლივი ხაზების მემონტაჟეს ალეკსანდრე ბოროგობიანს რომ ეკითხა არაფერს ვიტყოდი. სხვის „ფუნქციაში“ არ შევეჭრები. მაგრამ ამ ჩვენს ჯიდს ვერაფის დავუთმობ, ენგურჰესის თემას სიცილდება. — ჰოდა, ვინ არისო გიდი, შემეკითხები: — ილარიონ აკობია! ქირურგი-ტრავმატოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, რომელსაც, ცხადია, თავისი სპეციალობით საერთო არა აქვს რა ჰიდროელექტროსადგურებთან, დაწერილი კანონებით მას ენგურჰესის ნაგებობათა ცოდნა ისე არ ეკვლება, როგორც შენ — სეზონის ხუთეზმეს ხეტიალი. რა ქნას, გული არ უთმენს, აწუხებს და უხარია.

— რა სიმაღლიდან ეშვება ბეტონი?

— 400 მეტრიდან...

გვიპასუხა ილარიონის ბადიშმა. პაატა ახლა შეიყვანეს სკოლაში. ათის ფარულებში ავარჯიშებენ, მაგრამ საპაჭერო გზაზე ბეტონი რომ 400 მეტრის სიმაღლიდან ეშვება, პაატამ იცის. როგორ ფიქრობ, დედამიწის რომელ კუსკადზე დაიწყებენდნენ ამ შესანიშნავ პაპა-შვილიშვილს.

პროფესორი ილარიონ აკობია, ჩემო კარგო მეგობარო, თბილისში ცხოვრობს და მოდავწეობს. ასე გულმოდგინებით დაპხარის მშობლიურ კუთხეს, ხასანის ტბისა და ხალსინგოლზე გადატანილ გმირულ დღეებსაც ასე მოკრძალებითა და თანმიმდევრობით იგონებს.

ჯვარის თავზე ღრუბელი ჩამოწვა, მერე თქვენი მოვარდა. მე და მესტიის გეოლოგიურ-ძიებითი პარტიის უფროსმა მერაბ ქოიავამ ის ღამე ჯვარში გავათენეთ. გვეკითხა ერთი კვირით მაინც გადაიდო ჩვენი მესტიაში გამგზავრება. ელვაქუხილი ლახტავდა მძვინვარე ენგურს.

„ჩქარი გრეგინა-ბრიალით ჰქრიან ლურჯა ცხენები“... მორწმუნეებსავით თქვა მერაბ ქოიავამ. დიღით ჩვენს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა პროფესორმა აკობიამ გამოგვიცხადა, — აქ წვიმს, მესტიაში დარიაო. მთებს გადაღმა, მთებში ნეტა რას ხედავს ეს კაცი.

ფილიპეს ქვა

სვანეთის ნომერი პირველი პრობლემა მუდამ ჭზა იყო, ახლაც, როცა „ეროული“ მიგვაქროლებს მესტიის ჭზაზე. აგერ-ეგერ შეკეთება საქმეს არ შეელის. მთელი ჭზა ჯვარიდან მესტიამდე და მერე უშგულამდე მყარი უნდა იყოს, ინდუსტრიის საუკუნის დიდეზე. ბარში ჭზაზე მარცხს კაცს აბრალებენ, სვანეთში — ჭზას. კაცის ცოდო-ბრალსაც ჭზას მიაწერენ, ლოთი მძღოლის ლოთობასაც ჭზას მიაწერენ, უგულობასაც, ნათესავის მოუკითხავობასაც, ჭზაზე ბრალდებებსაც ჭზას მიაწერენ. სახუმრად ადარ გვცალიან, სერიოზულ ჭზას. დავადექით, დიახ. დალისა და ბეთილის დაბურულ ტყეში, თითქმის ჭზაში გაწლილ ხეობაში მფრინავი გოლეთიანებას ზმანეს. ბაქრა, ცარიელი ბოთლების წკარუნმა და მოტორის საცოდავმა თუხთუხმა გამოგვაფხიზლა, სატვირთო მანქანის ძარაზე 23 მგზავრი დგას, რა დგას, ასანთის ღერივით ცალფეხზე, კრიჭაშეკრულები, ისინიც და მათი შოფერიც.

ეფარი და ბეჩო

ეფარი მაღლაა, ბეჩო დაბლა, შუა უზის მესტია. კაცის ენა იტყვის — დაბლაო, სვანეთში ყველაფერი მაღლაა. 14 კილომეტრის სიგრძე-განაზე ბეჩოს სოფლსაბჭო და მისი კოლეექტიფოა, მასში შემავალი სოფელი მაზერი ზღვის დონიდან 1600 მეტრის სიმაღლეზე, სოფელი გული 1800-ზეა. მაღალშეიანობის განაკვეთით ხელფასს აიღებ ვერ იღებენ. რადგან ამათი სოფლსაბჭოს კასტორა ზღვის დონიდან 1300 მეტრის სიმაღლეზეა, კანონით 1500-ზე უნდა იდგეს, — მეუბნება კოლმეურნეობის თავმჯდომარე ზალგა კვიციანი. ვინ ვერ მიხვდება ამ კაცის ზუნილს, კანტორიდან თავის სამოქმედო არეალიზე ნახევარი კილომეტრის სიმაღლეებზე უხდება ასვლა-ჩამოსვლა, ადამიანებთან ურთიერთობა, გეგმისთვის ზრუნვა, კონტროლი. უბრალო კაცი ჩანს, ფიზიკურ სამუშაოსაც არ ერიდება, ამას წინათ, 16 კილომეტრის სიმორეზე, ფერმაში ლუბელი ზურგით ატარებია. მაღალმთიანობისას მაინც ვერ იღებენ. — 1300 მეტრზე კანტორა რამ დგადგმეგინათ, სად გამოძებნეთ ასეთი დაბალი ადგილი?

— ასე დაგვხვდა, — თავი იმართლა: თავმჯდომარემ.

— ჰოდა, თქვენც აიღეთ და ზღვის დონეზედან 1800 მეტრზე გადაიტანეთ, — ვეკრიე მე, მადიანი სიცილი ატეხდა, — უმბაზე დადგით, უმბაც ხომ თქვენს სოფლსაბჭოს ეკუთვნის. — სიცილით კი ვიცინეთ, მაგრამ ბეჩოელებს სასაცილო არა აქვთ საქმე. სახნავს 105 ჰექტარი ფართობი უჭირავს, სათიბებს — 330, იმ სათიბების ჩათვლით, რომელსაც არც მანქანა მიუფლებდა და არც მარხილი.

კოლმეურნეთა შემოსავალი ბინაკიდან მეფალეებზე რეგდება, კოლმეურნეობის ეკონომისტმა ი. ვეზდენმა დაეთარი გაბალი და დაწერილებით განმარტა, რომ დებიტორულ დავალიანებას, 20.500 მანეთს კოლმეურნეობა ვერ გადაიხდის. დიახ, ასეა, ამას არაფერი ეშველება. — მეუბნება ეკონომისტი. კოლმეურნეობის შემოსავლის ძირითადი წყარო 18 წლის მანძილზე ვ. წ. სარეხი, ხე-ტყის დამუშავება იყო, მაგრამ ტექნიკური მიზეზების გამო სარეხს დენი გამოუთიშეს. ეი ამაზე კი ვერ დავეთანხმებიბ ბეჩოს თავკაცებს, რატომ ესენი ინონი ვიღაცის მოწოდებული დენის შემყურე. ზემო სვანეთში ყოველ კოლმეურნეობას კი არა, ყოველ ოჯახს საკუთარი ელექტროსადგური უნდა ჰქონდეს.

იფარის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გალაქტიონ გულბანიე ამას ამბობს, — კოლმეურნეობის შემოსავლის უტყუარ წყაროდ სახეობის გამართვა მიმაჩნიაო. ხე-ტყეი ბეგრია, ოღონდ კი დავამუშაოთ. ამა, როგორ, 17 ჰექტარი სახნავი და იქიდან მიღებული მონაგარი ხარჯს ვერ ანაბრალურებს. გალაქტიონის მოსაზრებებს მესტიის რაიკომსკომის თავმჯდომარე ბ. უშვაანი ეთანხმება.

ეგ და გალაქტიონი ერთმანეთს დავემშვიდობეთ.

ეკან მოვიხედე. კუბოკრული პიჯაკიანი, ტკბასური მარგლით, მხარზე საველე ჩანთით. 30 წლის ახალგაზრდა კაცი გალაქტიონ გულანი თავის ფარდულში შედიოდა. ნეტა რას ხატავენ ჩვენი ნიჭიერი. მხატვრები? მესტიელი და უმეგელ ახალგაზრდებს ასეა ისე აცვიათ, როგორც მოდას მიმდევარი თბილისელები ეცვაძენ. მესტია-უმეგულის გზაზე ველარსად შეხვდებთ ხახლიან სვანს. სვანური ქუდი იმდენს ასურავს, რამდენსაც თბილისში ან სხვა ნიბისმიერ ქარაფულ ქალაქში იხურავენ. ძველ ქარაფულ ტანსაცმელზე უარის თქმა დაწანაურების ნიშნად რადი მიმაჩნია, მაგრამ მხატვრები სვანს მაინც ძველებურ ტანსაცმელის რომ ხატავენ, ანაქრონიზმია.

ახალი სვანეთი უეტაესწილად იმერეული სტილის, კოინდარიოა და ვარდებით მოფარდაგებული ეზოები და მაღალ ბოკონებზე შეკენებული ოდასასლებია.

ვენდეტა, კოშკები, ოთხთავი

რგზორმ ცნობილია, ბეგოგრაფიული მდებარეობის გამო სვანეთს უცხოელთა არავითარი ბატონობა არ ბანეცდია, საკუთარი დედაქვეყნისაკენ გაძოსავალი გზა, საუკუნეეაია მაინილზე ოოთ ალალლფეთ ბილიკი აყო, ბოლო 50 წლის მანძილზე კეთდება და ჯერაც ისე არ დამთავრებულა, რომ რაიონია ოოაალეკობა გაზეის ბალონებს იღებდეს. თვითეული ბალონი გაზია დროულად მეტახა აქ ერთი ძირი ხეა გადარეული ხიმნავს. გზისა და ეძეტესად ტრანსპორტის ძაბეზით ეურნალ-გაზეთების მიტანა ძოუკვარებელია, ხძირად თეელი კვირიაი ერეასა ერთად იღებენ, როცა საჭერო ფრეხა მეკეკვეტილია გაზეთი ძაიქანით უნდა მეკქონდეთ. ოოკორც ოაა, ფეკოდალური ხანაში, ადრეეეულია და კლასიკეურიაც, ჩვენი ეიბაკოეი მოკენილები და კაიძალი ეოოოიაოოყვაოეები ყოფილან. ძნელპედობის პერიოდებში მატერიალურ-კულტურული ფასეეულობაა, რომელიც, ცხადია, ეკრიალ-გაზეეთებეე ძიძე ტკერთი იყო, სასიზოად და გადასაალაგად ვეიბეთ ცხეეთ ან ქვეითად ჩაკქოდათ. ოაგრამ, როგორც ეს ზოგიერთ მკვლეკარს ეთეკვამს, ვეიბეთ დეკა-სამშოალოს ძხოლოდ სახეზაი და შეძხაგეკი საკანი იყოო, ძირშივე მცდარი და აბსურდულია: რა ეეყოთ მაშინ ის ალეეეობთ კოოკეებს, ვეანეეეი კოოსტრუქციაა და არქიტექტეურული ნააზოეკის ხიმეშებს, ასე ამაყად რომ დგიეხა ჩვეის დრომდე, ან იმ ეკლესიებს, რომელთაც ამ კეეთაის მოდეეოი დაკქრავ და აეკ ალოოდადაა ვეანეთში. ამ ნაგიბობეეს ხომ საკუთარი მატერიალური დოგე და კულტურული ინიციატივა ქძნიდა რამდენიაე საუკუნის ძანძილზე. მარტო ის ერთ ადეშია ოოთთავეი — თინაკო და ეკეოოელ მეკეიერთა ყურადღების საკანი რომ გამხდარი ჩვენს საუკუნეეძი, მრავალჯერ გამოიცა და უცხოურად ითარგმნა, რა შეინახავდა, რომ თვით ვანეთში არა ქქონოდა ნოხმარებითი აზრი და ზნიშვნელობა. ძაშასადამე, ათასი წლის წინათ ვანეთი ქართულ ეეანეზე ეაბარებას კითხულობდა. ვანეთი თავდაცვე მთელიანი საქართველოს ნერვულ სისტემაში იყო ჩართული. პ. ინგოროყვა შუა საუკუნეებიეს საქართველოს პოლეტიკური ცხოვრების კვლევამ იმ დასკვნამდე მიიყვანა, როკ გაეოკვლევეეს ერთ თავს „ბურია-ვანეთის სამთავრო“ უწოდა. ისიც კი ბეერის მანიშნებელია, რომ ბურიის მთავრები—ბურიელები, ადრე ვანი ვარდანისძეები იყვნენ. დიახ, ვანეთი ამაეე დროს დედაალმშობლოს სახიზარი იყო და ბეერი განმარტოეული კოშკის სიმყუდროვე თამარ მეფის საიდუმლოებით მოცეულ განსასვენებელს სწორედ ამ მიდამოში გაფიქრებანეს.

ლილეო?

ბასუელ წლებში საქართველოს გზებზე ხელგასმული ენთუზიაზმით რეს ტორნეეი შენდებოდა, ამა და ამ ტრასაეე გავიარეო, მოლაე ეუფრა გაკვალეო, ნასეფრალზე ეკლარია და ტეფის რესტოოანი დავდგიო, ასე შეიქმნა სარეეტორნო ბაზილიკა. აქ ნაგებობათა კვალზე არ ჩანს როშელიმე რესტორაანთეუროს მეეტიანი გზად რომ აკვლოს, ან სად უადა აემენენინათ რესტორანი. ეესტიაში უაძრავი ხალხი ჩამოდის, საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან და უცხოთიდანაც ზუოგჩანთებით, ალპინისტის ჯოხებით, წრიალებით, კავეეთთა და თოკკებთა, ღამის ლოგინითა და ზოგიც ცარიელ-ტარიელი. ეატარა, მოუწყობელ, ჩაძველებულ ერთადერთ სასადილოში მუდამ ხალხმრავლობაა. ჩამოსულთა დასასაყრელელი და ადგილობრივთა დროსაკლავიც ეს არის. თავაზიანი ეოპყრობა, მუდამ ანალი ხორცი და საჭირო შესაკამაზი აქვთ, მაგრამ კერძების დასახელება ღარიბია და ოტატის ხელი აკლია.

— ყოველდღიურად რამდენ ბოთლ ღვინოს ჰყიდით? — შევეკითხე სასადილოს მებუფეტეს თენგიზ ჯაფარიძეს, თავაზიანსა და მიხვედრილ ვანას.

— 300-400!

— ბევრია,

— ანა რა ქნან?

„ანა რა ქნან?“ შეკითხვაც არის და პრობლემაც.

გასული წლების ინერტულობისა და მოშვებულობის კვალს ასე ადვილად რა ხელი წაშლის. საქმეში ჩახედულმა ადამიანებმა იციან, რომ კულტურის, კერძოდ, ხელოვნების დარგში საქმის ჩაშლა ადვილია და გამოსწორება ძნელი. ოდესღაც მთელ კავშირში ცნობილი სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი მესტიას აღარა ჰყავს, ზემო ვანეთის კულტურის სახლში „ლილეოს“ აღარ მღერიან.

თითქმის ნახევარი საუკუნის წინათ ჩამოყალიბდა პირველი ეთნოგრაფიული გუნდი ზემო ვანეთში, ცნობილი ხაზოგადო მოღვაწისა და ამაგდარის ივანე მარგიანის ხელმძღვანელობით. შემდეგ წლებში ვის არ ასსოვს გუნდი სვეი გულედანის, მურზაყან დადეშქელიანის ხელმძღვანელობით.

— რას აკეთებს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ცნობილი ლოტბარი პლატონ დადვანი? — შევეკითხე კუდიდი უბანი გამოვლინებულია სოფელ ლენჯერთან, მდინარე მეფისწყალის მარცხენა ნაპირზე, აგრეთვე იელთან, ადეშთან და ბეჩოში. ტრაგერტენენი საკედლე მასალად დაიხარხება, მესტიის რაიონში ხელოვნური მოოკებისა და აგურის შეთბილა საჭირო აღარ იქნება.

სამშენებლო ბლოკებსა და აგურს ან კი რა ჩამოიტანდა მესტიაში, როცა ნაძლისა და სათვალის ჩამოტანა ჭირს. „ფილიპეს ქვის“ ქომპლექსში მომაგონდა. დიახ, ფილიპე მახარაძეს სვანეთი რომ შემოიარა და ხალხს ჭირ-ვარამი საკუთრივ გაეზიარა, თბილისში უთხრეს, — ამ ძნელ გზებზე რას გაემგზავრე, ცხობებს ჩამოგიტანდეთო. ბიუროკრატს მაამებელური ვირუსი ფ. მახარაძეს შეუნეველი არ დარჩენია, მისი „სვანეთის“ წამკითხველი ამას ადვილად მიხვდება.

— სათვალე გაქვთ?

